ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის – მოიპოვებს თავისუფლებას!

# თავისუფლება

№ 15

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (დემოკრატებისა) არაოფიციალური გაზეთი

8 ოქტომბერი 1989

ძვირფასო მკითხველო, სსრ კავშირი ყბადაღებით ქადაგებს "პერესტროიკას" და საჯაროობას. ამით იგი დასავლეთის თვალში აგროვებს პოლიტიკურ დივიდენდებს, როგორც ვითომდა დემოკრატიული, სამართლებრივი ქვეყანა[illegible] ეს რომ პოლიტიკური თვალთმაქცობაა, კარგად ჩანს იმისდა მიხედვით, [illegible] იდევნება თავისუფალი პრესა.

გაზეთმა "თავისუფლებამ" როგორც ჩანს საფუძვლიანად შეაშფოთა ტოტალიტარული იმპერიის ჟანდარმული რეჟიმი საქართველოში. ხელისუფლებამ და მისმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ყოვლად უკადრის საშუალებებს მიმართა, რათა ბოლო მოეღო გაზეთ "თავისუფლების" რედაქციისათვის. "თავისუფლების" გამოცემა შეფერხდა თითქმის ორი თვით. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ თავგანწირული ბრძოლა დასჭირდა ამ თვითგამოცემის აღდგენისათვის, რაც დიდი გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა გაუარესდა გაზეთის ხარისხი და ტირაჟიც მნიშვნელოვნად შემცირდა. ჩვენ იძულებული ვართ აგვისტოს და სექტემბრის მასალები დავბეჭდოთ ოქტომბრის ნომრებში.

## 25 სექტემბრის საპროტესტო აქცია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/

### დეკლარაცია

თბილისი

26 აგვისტო 1989წ.

ვინაიდან, საქართველოს გააჩნია სულ ცოტა 2500 წლოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ისტორია;

ვინაიდან რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1801 წელს საქართველოს ინკორპორაცია მოახდინა;

ვინაიდან, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, აღადგინა სახელმწიფოებრიობა, რომელიც "დე ფაქტო" და "დე იურე" ცნო მრავალმა ქვეყანამ, და მათ შორის რუსეთმაც;

ვინაიდან, 1920 წლის 8 აპრილს რსფსრ-ს მმართველი კომუნისტური პარტიის ცკ-ს მიერ მიღებული იქნა სუვერენულ საქართველოში საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებით, 1920 წლის 20 მაისს შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომელმაც შემდგომში "მეხუთე კოლონის" როლი შეასრულა;

ვინაიდან, რსფსრ-მ უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის 25 თებერვალს მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია მე-9 და მე-11 არმიების მეშვეობით, რომელსაც სხვებთან ერთად წინ მოუძღოდა რუსეთის ელჩი საქართველოში, და "საქართველოს კომუნისტური პარტიის" სახით ერის ნების საწინააღმდეგოდ ხელისუფლების სათავეში მიყვანილ იქნა რსფსრ-ს მარიონეტი მთავრობა;

ვინაიდან, 1922 წლის 30 დეკემბრის სეპარატიული ხელშეკრულებით საქართველო ერის ნების საწინააღმდეგოდ შეყვანილ იქნა სსრკ-ს შემადგენლობაში;

ვინაიდან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საბჭოთა მთავრობას საქართველოში არ მოუპოვებია აღიარება ქართველი ხალხისაგან არც პლებისციტით და არც დემოკრატიული არჩევნებით;

ვინაიდან, სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების და მისი ადგილობრივი მარიონეტების მეშვეობით სასტიკად ითრგუნებოდა ქართველი ერის პოლიტიკური ნების ყველანაირი გამოხატვა, რისი აშკარა მაგალითებიცაა:

ა/ საქართველოს კანონიერი მთავრობის განდევნა, რეპრესიები და საქართველოს ყველა ეროვნული პარტიის იძულებითი თვითლიკვიდაცია,

ბ/ 1922 და 1924 წლების განმათავისუფლებელი აჯანყების სისხლში ჩახშობა,

გ/ მასობრივი დახვრეტები და რეპრესიები 20-იან, 30-იან და 50-იან წლებში,

დ/ 1989 წლის აპრილის მშვიდობიანი მანიფესტაციის სისხლიანი დამსჯელი აქტი;

ვინაიდან, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ხელოვნურად აღვივებს ეთნოკონფლიქტებს, რათა ქართველ ერს არ მისცეს თვითგამორკვევის საშუალება მშვიდობიანობის პირობებში –

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობას აცხადებს საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულად, [illegible] ხალხს მოუწოდებს საბჭოთა არჩევნების ბოიკოტისაკენ და [illegible] თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლების გარანტიას.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით ეწევა მშვიდობიან, პოლიტიკურ ბრძოლას საქართველოს სრული განთავისუფლებამდე და გამორიცხავს ძალისმიერი ქმედების ნებისმიერ გამოყენებას.

1989 წლის 13 ივნისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ /დემოკრატებისა/ დაიწყო უვადო პერმანენტული შიმშილობა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე.

1989 წლის თებერვლიდან ქართველმა პატრიოტებმა შეაგროვეს ასეულობით ათასი ხელმოწერა პეტიციაზე ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნის მხარდამჭერისათვის, რომლის დიდი ნაწილი ხელისუფლების მიერ ბლოკირების გამო, არ ჩაბარდა ადრესატს. მოხერხდა მხოლოდ 35 ათასი ხელმოწერის ჩატანა აშშ-ს საელჩოში 1989 წლის აპრილში.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ აგროვებს ხელმოწერებს პეტიციაზე-"ქართველი ერის მიმართვა" მოთხოვნებით:

1. საქართველოს ტერიტორიიდან სსრკ-ს ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანა,

2. საქართველოს დაუყოვნებლივ გამოსვლა სსრ კავშირის შემადგენლობიდან,

3. საქართველოში საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევა და საქართველოს გამოცხადება დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

1989 წლის ივლისში 50 ათასი ხელმოწერა ამ პეტიციაზე გადავეცით დიდი ბრიტანეთის საელჩოს. ხელმოწერები გრძელდება და ეს პეტიციები უნდა გადაეცეს ყველა იმ ქვეყანას, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1975 წლის ჰელსინკის ხელშეკრულებას, 1948 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ქიმიური იარაღის აკრძალვის 1925 ოქმს და 1948 წლის გენოციდზე გაფრთხილების კონვენციას.

1989 წლის 16 ივლისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ ყველა მუდმივმა წევრმა უარი განაცხადა სსრკ-ს მოქალაქეობაზე და ნებაყოფლობით მოიხსნა ყოველგვარი იძულებითი მოქალაქეობრივი მოვალეობები სსრკ-ს მიმართ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ თავს აცხადებს ქართველი ერის პოლიტიკური ინტერესების წარმომდგენ ერთ-ერთ ძირითად იურიდიულ პირად და აქვს არსებობის უფლება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ აცხადებს, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დაარსებისა, კომუნისტური მმართველობა და მისი ქართველი მარიონეტები არღვევენ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რაზედაც ხელი აქვთ მოწერილი; რომ მათ მიერ დეკლარირებული საჯაროობა და გარდაქმნა მხოლოდ პოლიტიკური ფარსია; რომ საქართველოში დღემდე არ არის მშვიდობიანი პოლიტიკური ფუნქციონირების პირობები; რომ ქართველ ერს მოსპობილი აქვს მშვიდობიანი თვითგამორკვევის და თავისი ნების გამოხატვის ყოველგვარი საშუალება.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ იძულებულია 1989 წლის 25 სექტემბერს, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის დღეს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, იქ, სადაც 1989 წლის 9 აპრილს წითელი არმიის მიერ დარბეულ იქნა ქართველი ხალხის მშვიდობიანი აქცია, გამოაცხადოს უვადო შიმშილობა პარტიის წევრების სრული შემადგენლობით, შემდეგი მოთხოვნებით:

1. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მისცეს მსვლელობა პარტიის წევრების განცხადებებს სსრკ-ის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ. სსრკ-ს უმაღლესმა [illegible] დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა თანახმად პირადი განცხადებებისა და გასცეს მოქალაქეობის არმქონე პირის საბუთი /მოქალაქეობის სტატუსის შეცვლის უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილით/.

2. შეწყდეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ წევრების გამუდმებული დევნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ, რომელიც ეწევა პარტიის წევრების ნათესავების შანტაჟს, ხსნის პარტიის წევრთა პირად ფოსტას, ისმენს სატელეფონო საუბრებს, ყალბი ბრალდებებით აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ავრცელებს ცრუ ინფორმაციებს პარტიის შესახებ /ეს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 და მე-12 მუხლებით/.

3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას /დემოკრატებისა/ მიეცეს საშუალება საკუთარი პრესის გამოცემისა, რომელიც დღემდე არალეგალურად გამოდის და სასტიკ დევნას განიცდის. მიეცეს უფლება საკუთარი სახსრებით შეიძინოს რედაქციისათვის საჭირო მოწყობილობა და დაიქირაოს, ანააგოს ამისათვის საჭირო შენობა /ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით/.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ დეკლარაცია ეგზავნება ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს და პარტია მათ სთხოვს მხარდაჭერას ამ მოთხოვნების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ მთავარი კომიტეტი:

ვაჟა მთავრიშვილი
ვახტანგ ტალახაძე
თენგიზ შარმანაშვილი
მაყვალა ჩახვაშვილი
მურად ჩხიტაძე.

## აქციის მსვლელობა

როგორც პროკლამაციებით და სედპ/დ/ დეკლარაციით გამოვაცხადეთ, 25 სექტემბერს ჩვენ დავიწყეთ მწვავე საპროტესტო აქცია. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ მოითხოვდა დემოკრატიული ფუნქციონირების საშუალებებს:

ვინაიდან, სედპ/დ/ ყველა მუდმივმა წევრმა და საქართველოს თვითგამორკვეული მოსახლეობის ლიგის ყველა წევრმა უარყო სსრ კავშირის მოქალაქეობა, მაგრამ მათ განცხადებებს საბჭოთა ხელისუფლება არ აძლევდა მსვლელობას, სედპ/დ/ 25 სექტემბრის აქციით მოითხოვდა სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის განცხადებებისათვის მსვლელობის მიცემას.

ვინაიდან, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ ბლოკირებული იყო სედპ/დ/ გაზეთ "თავისუფლების" გამოცემა და უკვე თვე ნახევრის განმავლობაში არ ხერხდებოდა ამ თვითგამოცემის დაბეჭდვა, 25 სექტემბრის აქციით სედპ/დ/ მოითხოვდა პრესის თავისუფლებას.

ვინაიდან, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ იდევნებოდნენ სედპ/დ/ წევრები, სედპ/დ/-ს არ ეძლევა ფართობის დაქირავების საშუალება შტაბ-ბინისათვის და ვინაიდან, სედპ/დ/ წევრების მიმართ აღიძრა რამდენიმე ფალსიფიცირებული სისხლის სამართლის საქმე, სედპ/დ/ 42-მა წევრმა გამოაცხადა სასიკვდილო შიმშილობა.

25 სექტემბრის დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა [illegible] 3 სედპ/დ/-ს ზოგადი წერილობითი გარანტიები მისცა, რომ პარტიის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა. [illegible]

შინვე შედგა სედპ/დ/ დარბაზის საგანგებო სხდომა, რომელმაც ოთხი ხმის უპირატესობით ფარატინა ქაღალდად მიიჩნია მინისტრის გარანტიები და გადაწყდა აქციის გაგრძელება. მინისტრის ტიტულიანი ქაღალდი დაუბრუნდა რომან გვენცაძეს

დღის 12 საათზე დემონსტრანტები სამაიას ბაღიდან მსვლელობით გაემართნენ მთავრობის სასახლისაკენ. წინა ღამით იქ შემჩნეული იყვნენ ჩაჩქანიანი და ხელკეტებიანი საბრძოლოები და რადგან 25 სექტემბრის აქცია 9 აპრილის სისხლიანი დარბევის შემდეგ პირველი მცდელობა იყო მთავრობის სასახლესთან კვლავ მასობრივი შიმშილობის დაწყებისა, პარტიას არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ ოკუპანტები 9 აპრილის სისხლიან დამსჯელ აქტს არ გაიმეორებდნენ. ამიტომ სედპ/დ/ ხელმძღვანელობას მოუწოდებია არ შეჯგუფებულიყვნენ მოშიმშილეებთან. აგრეთვე, აქციაში მონაწილეობა აეკრძალათ ქალებს და უარს ვეუბნებოდით ყველას ვისაც მოშიმშილეებთან შემოერთების სურვილი ჰქონდათ.

ხელისუფლება აღარ მოელოდა აქციის გაგრძელებას და მოშიმშილეებმა მშვიდობიანად მიაღწიეს მთავრობის სასახლესთან. ისინი განლაგდნენ ტროტუარზე მთავრობის სასახლესთან აღმართული მესერის წინ. მილიციამ მაშინვე ალყა შემოარტყა მოშიმშილეებს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მილიციამ ავტობუსები მიაყენა მთავრობის სასახლესთან. მოშიმშილეები ძალით შეყარეს ავტობუსებში. სედპ/დ/ ხაზს უსვამდა რა აქციის მშვიდობიან ხასიათს, მილიციისთვის წინააღმდეგობა არ იქნა გაწეული.

42 მოშიმშილე მილიციამ წაიყვანა მცხეთაში და იქ გადმოსხა. მოშიმშილეებმა ილოცეს სვეტიცხოვლის ტაძარში და ფეხით მოაწყეს მსვლელობა მცხეთიდან მთავრობის სასახლისაკენ. ეს იყო საკმაოდ მომქანცველი 20 კილომეტრიანი "მარში". მსვლელობას შეუერთდა მრავალი გულშემატკივარი, რომლებიც ტაშით შეხვდნენ თბილისში შემოსულ 42 მოშიმშილეს. როდესაც დემონსტრანტები მიუახლოვდნენ მთავრობის სასახლეს, იქ მათ დახვდათ მილიციის მრავალრიცხოვანი კორდონი. კვლავ მოსალოდნელი იყო დარბევა. მოშიმშილეებმა გულშემატკივრებს მოუწოდეს, რომ უკან დარჩენილიყვნენ. ვინაიდან მთავრობის სასახლესთან უკვე შეუძლებელი იყო მისვლა, კოლონამ მილიციისათვის მოულოდნელი მანევრი გააკეთა და მოშიმშილეები განლაგდნენ სამხატვრო გალერეის კიბეზე. საღამოს 7 საათიდან ჩატარდა ორ საათიანი მიტინგი, რომელსაც ათასობით კაცი დაესწრო. საღამოს 9 საათზე სედპ/დ/-მ მოსახლეობას კვლავ მოუწოდა დაშლისაკენ, რადგან მთავრობის სახლთან დისლოცირებული იყო უამრავი მილიციელი და გადაცმული აგენტი.

დაახლოებით ღამის ორ საათზე მარბიელი ურდოები დაიძრნენ მოშიმშილეებისაკენ. მოშიმშილეები ამ დროს მღეროდნენ. მილიციას და გადაცმულ აგენტებს წინ გადაეღობა ეროვნული მოძრაობის აქტივისტების ჯაჭვი. აქ იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები, სამართალ-რადიკალური პარტიის მთავარი კაბინეტის თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, თავით ჯანელიძე.

მარბიელებმა ავტობუსებში ძალით შეყარეს როგორც მოშიმშილეები, ასევე მათი დამცველები. დაკავებული იქნა ოთხმოცამდე კაცი. ამჯერად ავტობუსები გაემართნენ დიღომისაკენ და ყველანი მოათავსეს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოში. სამართალ-რადიკალური პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები, რომლებიც გულშემატკივრობდნენ და იცავდნენ 42 მოშიმშილეს, გამთენიისას იქნენ განთავისუფლებულნი. მოშიმშილეები მილიციის სამმართველოში განაგრძობდნენ აქციას. ხელისუფლება საგონებელში ჩავარდა-42 კაცი აგრძელებდა სასიკვდილო შიმშილობას. ამ აქციის შესახებ წინასწარ იყო გაგზავნილი სედპ/დ/-ს დეკლარაციები მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების საელჩოებში და სედპ/დ/-ს 25 სექტემბრის აქციის ყველა მოთხოვნა შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. მძიმე დატვირთვისა და ცუდი ჯანმრთელობის გამო საავადმყოფოში მოხვდა სედპ/დ/ ორი წევრი. გიორგი კიკნაძეს შეუწყდა თირკმლის მოქმედება, დავით მჭედლიძეს ჰქონდა გულის შეტევა. ასევე მძიმე მდგომარეობაში იყო მურად ჩხიტაძე.

26 სექტემბერს ყველა მოშიმშილე განთავისუფლებული იქნა და იგივე ავტობუსით მიიყვანეს სამაიას ბაღში.

შიმშილობა გრძელდებოდა 25, 26, და 27 სექტემბერს. ხელისუფლება პირობას პირობაზე იძლეოდა, რომ შეასრულებდა დემონსტრანტთა მოთხოვნებს. სედპ/დ/ ელოდა სიტყვების საქმით დადასტურებას და ისევ ემზადებოდა მთავრობის სასახლისთან მისასვლელად. უამრავი გულშემატკივარი მოელოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას. მოლაპარაკება დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, სამართალ-რადიკალურ პარტიასთან და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიათან.

სედპ/დ/-ს უკვე გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება, მაგრამ ვინაიდან შეიქმნა კარგი კლიმატი ამ აქციის საერთო ეროვნული მიმართულების მისაცემად, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის / პარტიამ / დემოკრატებისა/ წინადადება მისცა დანარჩენ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, თუ ისინიც ისურვებდნენ, აქციას დამატებოდა სხვა ორგანიზაციებისათვის მისაღები მოთხოვნები და ერთიანი ძალით გადაზრდილიყო ყოველივე ერთ დიდ საყოველთაო საპროტესტო აქციაში. ამ წინადადებით დაინტერესდნენ ეს ორგანიზაციები, მაგრამ მოუმზადებლობის გამო მათ თავი შეიკავეს.

27 სექტემბერს, დღის პირველ საათზე დაკმაყოფილებული იქნა მოშიმშილეთა მთავარი მოთხოვნა. მათ მიეცათ ფორმა № 4, ანკეტა-განცხადების ბლანკები სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ, რომელიც აქამდე მკაცრად გასაიდუმლოებული და ხელმიუწვდომელი იყო ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის. ამასთან დაკავშირებით და სხვა მოთხოვნათა შესრულების პირობით აქცია შეწყდა.

## აქციის შედეგები


Форма 4

В Президиум Верховного Совета Союза ССР

АНКЕТА—ЗАЯВЛЕНИЕ

Прошу разрешить мне выйти из гражданства СССР. Ниже сообщаю о себе необходимые сведения, а также причины выхода из гражданства СССР.

4 × 5 Место для фотокарточки

| №№ п/п | Вопросы | Ответы |
| --- | --- | --- |
| 1. | Фамилия, имя, отчество (если изменяли фамилию, имя или отчество, то перечислите все фамилии, имена и отчества, под которыми Вы проживали и укажите [illegible] изменения) | |

ტიტული ანკეტა-განცხადება "ფორმა № 4"-ისა, რომელიც სამ პირად უნდა შეავსოს ყველამ, ვინც უარს ამბობს ჩვენი სამშობლოს დამპყრობი ქვეყნის, სსრკ-ს მოქალაქეობაზე და რომლის მოპოვებაც ასე ძვირი დაუჯდა სედპ/დ/-ს. 25 სექტემბრის "უსანქციო" მიტინგისათვის პარტიის 39 წევრი დააჯარიმეს ასიდან ორას მანეთამდე თანხით, /საერთო ჯამში - 7 000 მანეთამდე/.

სედპ/დ/ უკანონოდ მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილებას და უარს ამბობს ჯარიმის გადახდაზე.

25 სექტემბრის აქციას ჰქონდა მნიშვნელოვანი შედეგები:

I. მაშინ, როცა მზადდება საბჭოთა არჩევნები და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რაც კრემლს სურს საერთაშორისო სამართლის წინაშე გაასაღოს ქართველი ერის პოლიტიკური ნების დემოკრატიულ გამოხატვად, სედპ/დ/-მ დააყენა წმინდა წყლის ჰუმანიტარული მოთხოვნები, როგორიცაა ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება და სხვა, რის გარეშეც საერთოდ გამორიცხულია დემოკრატია. ხელისუფლებამ ორჯერ დაარბია აქცია. ამით კომუნისტურმა რეჟიმმა თავისთავად აღიარა, რომ დღეს საქართველოში არ არის პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციონირების საშუალება, რომ საბჭოთა არჩევნები, რომლის ბოიკოტი შეიძლება ვერც მოხერხდეს, ძალისმიერია. ხოლო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის დადებასაც კრემლი ახლად არჩეული ადგილობრივი მარიონეტული მთავრობის საშუალებით აპირებს, ჩვენ საერთაშორისო სამართლის წინაშე შეგვიძლია წარმოვადგინოთ არა როგორც ქართველი ერის უზენაესი ნების გამოხატვა, არამედ, როგორც სეპარატული აქტი.

2. ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა ჩვენ მივიღეთ ფორმა № 4, რაც საშუალებას გვაძლევს ოფიციალურად განვაცხადოთ უარი სსრ კავშირის მოქალაქეობაზე.

3. მართალია სრული დემოკრატიზაციისაგან ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ, მაგრამ სედპ/დ/-ს მიეცა საშუალება გააგრძელოს გაზეთის გამოცემა. ხელისუფლება მთელი თვის განმავლობაში მოელოდა 25 სექტემბრის აქციას და ცდილობდა აღარ გაელიზიანებინა ეს პარტია. საქართველოში პირველად დაიდგა ოპოზიციური პარტიის სტენდები. ხელისუფლებამ ნათლად დაინახა, რომ სედპ/დ/-ს შეუძლია მძაფრი საპროტესტო აქციები, რომ მას ჰყავს საიმედო გულშემატკივრები და მოკავშირეები. ყოველივე ეს კი შეაფერხებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავაშვებულ რეპრესიებს ამ პარტიის წევრებისადმი.

4. 25 სექტემბრის აქციამ იმდენად შეაშფოთა ხელისუფლება, რომ ის იძულებული გახდა ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებინა უმაღლესი რანგის პროვოკატორები. ამ აქციის შემდეგ სედპ/დ/-სა და მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ნათელი გახდა, თუ ვისი ხელებით ხდება საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბლოკირება, პროვოცირება და დაქსასვა.

# განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას ზ.ის მ. საზოგადოებას

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამა წლის სექტემბრის დასაწყისში ჩვენმა პარტიამ პასუხი გასცა თქვენს შეკითხვას, რომელზეც პასუხი არ მიგვიღია. ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ეს შეკითხვა შედგენილი იყო მხოლოდ ზვიად გამსახურდიას მიერ და ამ სამი ორგანიზაციის წევრებმა ყოველივე ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ "შეკითხვა" ატარებდა პროვოკაციულ ხასიათს და მისი მიზანი იყო არა პასუხის, სრული ინფორმაციის მიღება, არამედ ედპ-ს დისკრედიტაცია, რაც, ღვთის წყალობით, ერთობ ძნელი საქმეა."

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ პასუხს ვთხოვთ ამ ცილისმწამებლური "შეკითხვის" ავტორს და ველით მას ღირსების სასამართლოზე, რომელიც გაიმართება შაბათს, 21 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. ვიმედოვნებთ, რომ ზ.ა. სამი ორგანიზაციის წევრებიც დაესწრებიან ამ სასამართლოს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი.

05.10.89

ვუერთდებით: როიალისტთა დასი

ვუერთდებით: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია / დემოკრატებისა /

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბ-ნ გ.გუმბარიძეს საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებათა ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

7 ნოემბერი ქართველი ერისათვის სადღესასწაულო დღე არ არის, მაგრამ ქართველობა, ასე თუ ისე ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ ამ დღეს თბილისში სამხედრო აღლუმი ტარდებოდა.

წელს, 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ, ქართველი ხალხი ვერ დაუშვებს, რომ 7 ნოემბერს საოკუპაციო ჯარების პარადი ჩატარდეს საქართველოს დედაქალაქში.

სამხედრო აღლუმი ქართველი ერის შეურაცხყოფა და მისი აბუჩად აგდება იქნება. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიშუშებია 9 აპრილის ჭრილობები და ამ ჭრილობებზე მარილის დაყრის უფლებას არავის მივცემთ.

იმ შემთხვევაში, თუ 7 ნოემბერს ქალაქის ქუჩებში ტანკები გამოჩნდებიან, ჩვენ იძულებული გავხდებით ცოცხალი ჯაჭვი გავაკეთოთ და ტანკებს გზა გადავუღობოთ.

დე, შეგვეწიოს უფალი!

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატების/
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
როიალისტთა დასი

თბილისი, 05.10.89.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თითოეული თქვენგანი მოწმეა იმისა, თუ ბოლო დროს როგორი დეფიციტი გახდა სურსათი.

როგორც არაოფიციალური წყაროებიდან ირკვევა, ხელისუფლება აპირებს "კოზირული კარტის" გათამაშებას და ხელოვნური დეფიციტის შექმნას სურსათით მომარაგებისა და კომუნალური მომსახურეობის საქმეში. ამ აქციის ორგანიზატორთა აზრით, ყოველდღიური ყოფითი პრობლემები შექმნიან პოლიტიკურ დესტაბილიზაციას და ხალხის უკმაყოფილებას, რაც თითქოსდა, მომგებიანი უნდა იყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალებისათვის.

მოგიწოდებთ, საღად გაერკვეთ შექმნილ სიტუაციაში და თუ ამ ბინძური აქციის ორგანიზატორებმა არ დაიხიეს უკან, მთელი პასუხისმგებლობა დააკისროთ ოფიციალურ ხელისუფლებას, რომელმაც მთელი 70 წლის განმავლობაში ვერ გადაწყვიტა თითქმის ვერცერთი სახალხო მნიშვნელობის პრობლემა და თავი გამოიჩინა მხოლოდდამხოლოდ ანალოგიური და სხვა სახის პროვოკაციების მოწყობაში.

7 ოქტომბერი, 1939 წ.

შეგახსენებთ, ყოველ ხუთშაბათს, 18 საათზე, სედპ/დ/ სამაიას ბაღში ატარებს ბრიფინგებს. გთხოვთ დაესწროთ.

გაზეთი მოამზადეს: ვაჟა მთავრიშვილმა, ვახტანგ ტალახაძემ, მაყვალა ჩახვაშვილმა და გიორგი ზუმბაძემ.

დაგვირეკეთ: 39.65.77. მაყვალა ჩახვაშვილი, 36.71.87. ვ.ტალახაძე, 12.60.34. ბექან [illegible].

მოგვწერეთ: თბილისი-86, ვაჟა ფშაველას 3 კვ. 3 კორ. ბინა 41, მ.ჩახვაშვილი.